რა იცის ადამიანმა??? (აზრები)

პეტრე გელხვიიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
E-mail: petre.gelkhviidze@rambler.ru
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.06

„თუ გენიოსი გიწოდეს ბედნიერებაა,
თუ დაიჯერე უბედურება“
(ანზორ ერქომაიშვილი)

შესავალი: ნაშრომებში [1,2] განხილული იყო ავტორისეული ქართული ბრძნული გამონათქვამები, ავტორის ენაზე, მაგრამ არაქართულენოვანი მკითხველებისათვის, როგორც გამოირკვა წარმოიქმნა ეჭვი პროგრამული თარგმნის დროს რამდენად იყო შენარჩუნებული თარგმანში გამონათქვამების შინაარსი. ხოლო [3] ნაშრომი იყო ერთდროულად სამენოვანი. ამჯერად, წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი ნაწილი არის ავტორის ენაზე (ქართულად) ხოლო სამენოვან ვარიანტად წარმოდგენილია „დროის“ (კატეგორიის) ფენომენის ლიტერატურულ, ფილოსოფიური ასპექტები.

- ანზორ ერქომაიშვილი- ქართული პოლიფონიის გალაქტიკა!
- განათლებაა ჩემი და ჩემი ქვეყნის ტკივილი.
- სამყაროს პოლუსებს აერთებს სიყვარულის ღერძი .
- ოქროს შუალედი; „თავისა“ და „ხელის“-უფლებების თავსებადობის არეალი!
- ყოველ პროფესიაშია ჯენტლმენობა რაღაც დოზით ჩადებული.
- სინათლის სხივებად მოვლენილი ადამიანები უნათებს გზას კაცობრიობას.
- გონიერი ადამიანისათვის მამოძრავებელი, ცნობისმოყვარეობაა და რაოდენ კეთილშობილია ასეთი ადამიანი, თუ მისი მიზანი სიკეთისთვისაა მიმართული.
- ამქვეყნად ყველაზე დიდ საქმედ სიკეთის თესვა ითვლება და ბედნიერია ის ვინც ამ საქმისათვისაა ღმერთისაგან მოვლენილი.
- ადამიანი ცოდვილია, მაგრამ მას სანთლად კეთილი საქმის ანთება შეუძლია!
- სიხარბეს შეუძლია ლოდად დააწვეს კაცს და გასრისოს, იმ დროს როდესაც სიკეთის მარცვალს მისი ზეცაში აყვანა შეუძლია!
- თუ მოინდომებს, ადამიანს მის გარშემო დადებითი აურის შექმნა შეუძლია, რითაც გარშემო მყოფთ სიკეთეს, სითბოს და სიყვარულს მისცემს.
- ადამიანი, შემოქმედის ქმნილება, შემოქმედებისთვისაა დედამიწაზე მოვლენილი!!!
- ჩემზე რას ვიტყვი???-სხვებს რომ ჰგონიათ იმაზე ბევრად დიდი ვარ, მე რომ მინდოდა იმაზე ბევრად პატარა!!!
- ნაპერწკლის სახედ სამყაროს ციცინათელა ყავს მოვლენილი.
- რწმენა ჩემთვის უზენაესი მცნებაა და მას რაიმე სიტყვებით „გამაგრება“ (განმარტება) არ მოეთხოვება. **/რწმენა ჩემთვის საქციელის საზომია/.**

- **გასათვალისწინებელი რჩევა**: ბუნება მდიდარია და უხვი, ყველაფერს იძლევა რასაც მოთხოვ, მაგრამ გახსოვდეთ, თუ მოთხოვნა რაც ბუნებისაგან გეკუთვნით იმაზე მეტია, ზედმეტის გასტუმრება მოგიწევთ, თქვენ და თქვენს შვილს თუ არა თქვენს შვილიშვილს მაინც!!!
- დაყოფა, ცოცხალ და არაცოცხალ სხეულებად, ადამიანის მოგონილია და ბუნებისაგან მან ამით, თავისი დიდი უპირატესობის დამკვიდრება განიზრახა!
- სამწუხაროდ, ხშირად პატიოსნება და სიკეთე უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე ბოროტება და ავკაცობა.
- სხეულის ენა ყოველთვის წინ უსწრებს გონების ენას. /სხეულის ენა მხოლოდ რეცეპტორებს ეყრდნობა, გონების ენა კი აზროვნებას/.
- „ენიდან“ სიტყვებამდე „დიდი გზაა“ გასავლელი; სიტყვიდან საქმემდე კი, კიდევ უფრო დიდი!
- ძაღლმა იცის, რომ „ძაღლურად“ უნდა იცხოვროს; მაიმუნმა იცის, რომ უნდა იმაიმუნოს; - რა იცის ადამიანმა???
- ადამიანი „დატოვებული კვალით“ იზომება.
- მე რომ ექიმი ვყოფილიყავი, ჩემს პაციენტებს სიყვარულით და მოფერებით ვუმკურნალებდი.
- **აზრი „მატერიის“ განსაკუთრებული ფორმაა!** (ფიზიკური და ფილოსოფიური კატეგორიაა); -ადამიანებო! -მიეცით აზრს დრო და სივრცე!!!
- ახალგაზრდები აწმყოს ხედავს, მომავლისაკენ ისწრაფის; არადა, მომავლის დანახვას, წარსულის გამოცდილების გააზრება და აწმყოს გათვალისწინება ჭირდება.
- **მასწავლებელი -ვარსკვლავთმჭედელი!!!**
- **მასწავლებელი -ცოცხალი ძეგლი.**
- „ფული აფუჭებს ადამიანს“ (ხალხური); - ფული ადამიანს კი არ აფუჭრბს, არამედ ფული ის ლაკმუსის ქაღალდია, რომელსაც ადამიანის ფარული (უარყოფითი და დადებითი) თვისებების გამოვლენა შეუძლია!
- ვიყავი ყოფნა არ არის, - **ყოფნაა, ვარ და ვიქნები!**
- სისტემის სიცოცხლისა და განვითარების შესაძლებლობა მხოლოდ შიგ სისტემაშივე ყალიბდება, გარედან ნებისმიერი ჩარევა სისტემის ნგრევას და განადგურებას იწვევს!!!
- საჭადრაკო დაფაზე, ფიგურებს კი არ აქვს ძალა, არამედ იმ პიროვნებას, ვის ხელშიც ეს ფიგურებია.
- სიკეთე, იმ მცენარის ნაყოფია, რომელიც რაც უფრო ბევრს გასცემს, მით უფრო ბევრს ისხამს.
- სიკეთის გაცემისას არაფერი გაკლდება, ბუნებას „უკუქმედების კანონიც“ აქვს.
- მარადისობა განუზღვრელია, დროით არ იზომება.
- ისტორიულად ქართველი კაცი ორი სახის სიმდიდრეს განიხილავდა - მატერიალურს და სულიერს; მათგან მეორეს უდიდეს უპირატესობას ანიჭებდა.
- ნუ გვეშინია უკან მოხედვის, თუ გვინდა გონების თვალით გავიხედოთ წინ!!!
- მეცნიერებისათვის ფანტაზია არ არსებობს, მეცნიერებაა თვითონ ფანტაზია.
- დანახვას და გაგონებას, „გა“ კი არა მხოლოდ გონება ჭირდება.
- როდის არ არის პოლიტიკა სუფთა? - როდესაც პოლიტიკოსის მანტიაში „უძღები შვილი“ იმყოფება!!!

- ნორმალურ ადამიანს ცხოვრების ყველა საფეხური აქვს გასავლელი (როგორც აღმართის ისე დაღმართის); როგორც უცოდინარობიდან ცოდნამდე ისე პირიქით (ცოდნიდან უცოდინარობისაკენ პირიქით გზა, ეს ის გზაა, რომ გგონია ყველაფერი ცხადია და აღმოჩნდება თურმე, არაფერია ცხადი! ეს გზა უფრო დამაფიქრებელი და უფრო კრიტიკული იქნება ალბათ).
- ადამიანისათვის ყველაზე მეტად საშიში, ყველაზე მეტად საყვარელი ადამიანია! (დაკარგვისა და ღალატის საშიშროების გამო).
- ადამიანთათვის ღვთისაგან ბოძებული გონიერება და სულიერი სამყარო აწესრიგებს იმას, თუ მათი ცხოვრება დროთა განმავლობაში თაფლივით ჩაშაქრდეს, თუ ცუდად მომზადებული მარინადივით დამჟავდეს.
- კამათის საუკეთესო შედეგად გამარჯვებულის (ან დამარცხებულის) გამოვლენა კი არა ჭეშმარიტების დადგენის მცდელობა უნდა იყოს.
- მსჯელობა ადვილია, დასკვნის გამოტანა ძნელი, ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელი!!!
- თუ იტყვი თქმისათვის დაგახრჩობენ, თუ არ იტყვი შენი საკუთარი ზნეობის ბურთი გაგეჩრება ყელში და ის დაგახრჩობს.
- ჭკუა მეხსიერების ის ფაილებია, რომელებიც მემკვიდრეობით განგებისაგან ეძლევა კაცს, ხოლო უნარი ამ ფაილების გახსნასა და გამოყენებაში ვლინდება.
- ყველა მართალია, ვისაც საკუთარი აზრი გააჩნია!!!

<u>დასკვნა:</u> საკაცობრიო სიბრძნის ჩემეული ფორმულა - ყველაზე დიდი უნარი, გიყვარდეს ადამიანი; ყველაზე დიდი სიმდიდრე უყვარდე ადამიანებს!!!

დრო ღვთიურია (10 მცნება)
Время божественно (10 заповедей)

მქვეყნად ყველაზე დიდი ჯილდოა - დრო!.
Самая большая награда в этом мире – время!
greatest reward in this world is time!
მქვეყნად ყველაზე ობიექტური მსაჯულია - დრო!
Самый объективный судья в этом мире – время!
The most objective judge in this world is time!
მქვეყნად ყველაზე ზუსტი სასწორია - დრო!
Самые точные весы в этом мире — время!

ამქვეყნად ყველაზე მეტად მრისხანეა - დრო!
Самое беспощадное в этом мире — это время!
The most merciless thing in this world is time!
მქვეყნად ყველაზე დიდი სიამოვნების წყაროა - დრო!
Самый большой источник удовольствия в этом мире – время!

მქვეყნად მარტოობისგან თავის დაღწევის საშუალებაა - დრო!
Средство, избавиться от одиночества в этом мире – время!

მქვეყნად წარმატებებისათვის აუცილებელი პირობაა - დრო ! Необходимое условие успеха в этом мире – время!

მქვეყნად სიყვარულის ყველაზე ობიექტური შემფასებელია - დრო!
Самый объективный оценщик любви в этом мире – время!

მქვეყნად ყველაზე დიდი მეფეა - დრო!
Самый большой король в этом мире – время!

10. ამქვეყნად ყველაფრის თავი და ბოლოა - დრო!!!
Начало и конец всему, в этом мире - время!!!

საკვანძო სიტყვები: ქართული, ბრძნული გამონათქვამი, აზრი

ლიტერატურა:

1. Petre Gelkhviidze - What I think and believe Publisher.agency : Proceedings of the 1st International Scientific Conference «Scientific Research and Experimental Development» (November 03-04, 2022). London, England, 2022. 378p. ISBN 978-6-0914-9821-6
2. Petre Gelkhviidze.- A step in the way of thinking.1 st International Scientific Conference "Foundations and Trends in Modern Learning" (january 12-13, 2023). Berlin, Germny, 2023. 330P. /ISBN978-1-9094-2169-1; DOI 10.5281/zenodo.7539109/ p.32-39./
3.Petre Gelkhviidze; A VOICE FROM HEAVEN; II International Scientific and Practical Conference «Theoretical and practical perspectives of modern science», June 13-14, 2023, (p.37-44) Stockholm. Sweden.p.37-44; Issue ISBN 978-91-65423-20-6; PublishDOI https://doi.org/10.5281/zenodo.8048179

Petre Gelkhviidze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
E-mail: petre.grlkhviidze@rambler.ru
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.06

What does a person know??? (Thoughts)

Abstract

This work presents the author's wise Georgian sayings (thoughts), which are primarily human in nature and simultaneously informed by modernity. At the same time, the work offers a literary, trilingual (Georgian, Russian, and English) understanding of the phenomenon of time.

My formula for human - The greatest ability, love people, the greatest wealth, to be loved by people.

Keywords: Georgian; wise; saying; thought.